# თანამედროვე პანკისი - რელიგიური სინკრეტიზმიდან - ,,სუფთა ისლამის“ იდეამდე

## (საფლავის ქვების მაგალითი)

**ელის ბაქრაძე**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიკო ზვიადაძე, ასოცირებული პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2020**

## განაცხადი

*„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“*

ელის ბაქრაძე,

27.01.2020

# აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა, ორი სოფლის მაგალითზე, ქისტების, დაკრძალვის ტრადიციის შესწავლის გზით, რელიგიური ტრანსფორმაციის პროცესის აღწერა და შეფასება. ნაშრომის თეორიული ჩარჩო დაეყრდნო კლიფორდ გირცის თეორიას, რელიგიის როგორც კულტურათა სისტემის განხილვის შესახებ. რის საფუძველზეც განისაზღვრა კვლევის მეთოდი: ვიზუალური მასალის ანალიზი და ჩართული დაკვირვება. კვლევის სამეცნიერო სიახლე დასტურდება იმ ფაქტით, რომ ისლამის და დაკრძალვის რიტუალის შემსწავლელი კვლევები საქართველოში იშვიათად ტარდება.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა პანკისის მუსლიმი თემის დაკრძალვის ტრადიციების ტრანსფორმაცია. ვიზუალური მასალის ანალიზის შედეგად დასაბუთდა, რომ პანკისის ხეობის მუსლიმი თემის დაკრძალვის ტრადიციები ტრანსფორმაციას განიცდის. კერძოდ, საფლავის მოწყობის წესისადმი ტოლერანტულ სუფიზმს ანაცვლებს სალაფიზმი, რომელიც საფლავების სისადავეზე სვამს აქცენტს და საფლავების მოწყობის სტილით შარიათის წესებს შეესაბამება.

რელიგიის ტრანსფორმაციის პროცესის შესაფასებლად, გამოიკვეთა დამატებითი კვლევების ჩატარების საჭიროება, კერძოდ სხვა რიტუალების: ქორწინება, ნათლობა, სისხლის აღების წესი და სხვა, შესწავლის აუცილებლობა. ასევე ქისტების ეთოსის სიღრმისეული კვლევის საჭიროება.

მოცემული ნაშრომი საინტერესო იქნება სოციოლოგებისთვის, ანთროპოლოგებისთვის, კულტურის, რელიგიის მკვლევარებისთვის, ისლამის შესწავლით დაინტერესებული პირებისთვის და მათთვის, ვინც სიკვდილის სოციოლოგიის საკითხებზე მუშაობს.



**ძირითადი საძიები სიტყვები:** ისლამი, რელიგიური სინკრეტიზმი, დაკრძალვის ტრადიცია, საფლავის ქვები, პანკისის ხეობა, ვიზუალური ანალიზი.

## Abstract

The research paper below focuses on analyses of Kist's religious transformation through the funeral rituals in Pankisi Gorge. It is based on observations of graveyeards in two villages of Pankisi.

Based on the purpose of this research, the model of symbolic antropology, by Clifford Geertz, where religion is represented as a cultural system, was selected as a methodology. The gravestones were investigated in terms of their changes over time and compered to the cultural and religious context of local Kists identity. These examples show how graveyards function as a cultural symbolic practices that construct and express collective cultural and religious identity.The findings are based on the qualitative research, particularly, on the visual methods of research and on participant observations.

This article outlines a process of religious transformation in Pankisi Gorge. Specifically, the study results show that the transformation of funeral tradition of Pankisi Muslim community was revealed, particularly the tolerant Sufism is replaced by the strict Salafism, which is based on Sharia Rules. The study also revealed the need for additional research.

The research paper will be interesting for sociologists, anthropologists, death sociologist and researchers, which are interested in a study of islam, culture, small communities and religious transformations.



**Key Words:** Islam, religious syncretism, funeral rituals, gravestones, Pankisi Gorge, Visual methodes of research.

**მადლობა**

პირველ რიგში, მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს - სოფიკო ზვიადაძეს, რომელიც ნაშრომზე მუშაობის დროს, ღირებულ რჩევებს მაძლევდა და მეხმარებოდა ნაშრომის დახვეწაში.

აგრეთვე მადლობას ვუხდი რამისა ხანგოშვილის, რომელიც პანკისის ხეობაში ჩემი მეგზური იყო და  გიორგი გაგუას, რომელმაც პანკისის ხეობის საფლავების ვიზუალური ანალიზისთვის  დამატებითი მასალა მომაწოდა.